

დამტკიცებულია 20.04.2018წ. წარმომადგენლობითი საბჭო



## საუნივერსიტეტო (სტუდენტური) ღონისძიებების ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

„საუნივერსიტეტო (სტუდენტური) ღონისძიებების ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის წესი“ განსაზღვრავს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო (სტუდენტური) ღონისძიებების ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა დაფინანსების ოდენობასა და მისი გაცემის წესს.

### მუხლი 2. დაფინანსება (ოდენობა)

ღონისძიებების ფარგლებში სტუდენტის დაფინანსება (დარიცხული)

ა) სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ტრანსპორტირების ხარჯების

უზრუნველყოფის შემთხვევაში (ერთი დღე) მოიცავს:

დღის ხარჯს არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) ლარისა,

ქალაქში შიდა ტრანსპორტირების ხარჯს არაუმეტეს 5 (ხუთი) ლარისა,

სულ ერთი დღის ხარჯი 20 (ოცი) ლარი.

ბ) ტრანსპორტირების ჩათვლით (ერთი დღე) მოიცავს:

დღის ხარჯს არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) ლარისა,

ქალაქში შიდა ტრანსპორტირების ხარჯს არაუმეტეს 5 (ხუთი) ლარისა,

საქალაქთაშორისო ტრანსპორტირება 20 (ოცი) ლარი,

სულ ერთი დღის ხარჯი 40 (ორმოცი) ლარი.

### მუხლი 3. თანხის გაცემა

თანხები გაიცემა სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული

შემოსავლებიდან უნაღდო ანგარიშსწორების გზით. შესაბამისი ადმინისტრაციული

აქტის საფუძველზე.

### მუხლი 4. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

„საუნივერსიტეტო (სტუდენტური) ღონისძიებების ფარგლებში მონაწილე სტუდენტთა დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის წესში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილი წესით.